როგორ განვავითაროთ მოსწავლის კრეატიული და კოგნიტური აზროვნება ისტორიის გაკვეთილზე

ავტორი მაია ფირჩხაძე

2018-2023 წწ. ესგ-ის საბაზო საფეხურის ისტორიის სტანდარტი მოსწავლისგან **ისტორიული ეპოქის აღქმა/ანალიზს** მოითხოვს, რაც სხვადასხვა ისტორიული ეპოქის არსებითი მახასიათებლების (სოციალურ-კულტურული განვითარება, რელიგია და მსოფლმხედველობა, სახელმწიფოებრივი განვითარება და პოლიტიკა) გამოკვეთას, ეპოქის უნიკალურობის ჩვენებას, თანამედროვეობასთან პარალელების გავლებას გულისხმობს. მასწავლებელს შეუძლია, ეფექტურად გადაჭრას სტანდარტის მოთხოვნები, თუ სწავლის პროცესში აქტიურად ჩართავს შემოქმედებითი ხასიათის დავალებებს.

როგორც ვიცით, შემოქმედებითი ხასიათის დავალებებიდან ძირითადად გამოიყოფა დავალებების ორი ჯგუფი: **კოგნიტური (შემეცნებითი, აღქმითი) და კრეატიული დავალებები.**

კოგნიტური დავალებები (შემეცნებითი, აღქმითი) მიმართულია მოსწავლის შემეცნებითი უნარების (შეკითხვების დასმის, მოვლენათა მიზეზების მოძიების, ექსპერიმენტების ჩატარების, გარემომცველი სამყაროს შეგრძნების) ფორმირებასა და განვითარებაზე, ხოლო **კრეატიული დავალებები უზრუნველყოფს პიროვნების კრეატიული თვისებების ფორმირებას: ვარაუდის, ფანტაზიის, ახლის მოფიქრების უნარის განვითარებას.**

როგორ შეიძლება მასწავლებელმა კოგნიტური და კრეატიული დავალებებით გავიდეს სტანდარტის შედეგებზე და თანაც ისე, რომ ეს ყველაფერი მოსწავლეებისათვის საინტერესოდ და სახალისოდ გააკეთოს.

I – კოგნიტური დავალებები

საგანი: ისტორია, კლასი: VII თემა: „ძველი აღმოსავლეთი“

VII კლასში შედეგების მიღწევის შეფასების ინდიკატორებია: ძველაღმოსავლური პერიოდისთვის/ბრინჯაოს ხანისთვის დამახასიათებელი არსებითი ნიშ ნების (დამწერლობა, სახელმწიფოებრიობა, რელიგიური სისტემები, „კომპლექსური საზოგადოება“) გამოკვეთა (ისტ. საბ.1,2,3,5,7,8,9,10,11,12).

სავარაუდო აქტივობები:

1: ა) **წაიკითხეთ** ტექსტი. **შეადგინეთ 3 შეკითხვა** მოცემული ტექსტის გამოყენებით მიმართებაში; ბ) **გადმოეცით**, როგორ აიგო და რა მახასიათებლებით გამოირჩევა მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება – ეგვიპტის პირამიდები; გ) **რატომ არ დაკარგა** გამოთქმამ – „ყველას ეშინია დროსი, ხოლო დროს ეშინია პირამიდების“ თავისი მნიშვნელობა დღესაც კი?

მაგალითი 2: „აღწერეთ კოგნიტური სქემა“: მოსწავლეები, მასწავლებლის მითითებით, ინფორმაციული ტექსტების დამუშავებისას ასრულებენ მსგავსი ტიპის დავალებებს (იხ. სურ.1):

1) ჯერ ავსებენ **პირველ სვეტს – „სიტყვა/ცნება“** (აღსანიშნავია, რომ კოგნიტური სქემა გაკვეთილის სამივე ფაზაზე ივსება, აქედან პირველი სვეტი – გამოწვევის ფაზაზე);

2) შემდეგ **მეორე სვეტს – „მე მგონია“** და აქტიურად წამოაყენებენ ყველა იდეას, რომელიც თემას უკავშირდება, გამოთქვამენ ვარაუდებს;

3) ტექსტის კითხვისას მოინიშნავენ ყველა იმ ადგილს, რომელიც კოგნიტური სქემის შევსებისთვის სჭირდებათ და ავსებენ მესამე სვეტს – **„ტექსტი ამბობს“;**

4) **მეოთხე სვეტში – „ილუსტრაცია“** – დაამატებენ თემის /საკითხის შესაბამის ვიზუალურ მასალას/ ნახატს/სიმბოლოს;

5) – ბოლოს მოსწავლეებს **„გამოაქვთ დასკვნა“** და მოიყვანენ არგუმენტს, რატომ ფიქრობენ ასე.

სიტყვა /ცნება	მე მგონია...	ტექსტი ამბობს	ილუსტრაცია	გამომაქვს დასკვნა
სახელმწიფო				
უმაღლესი მმართველი				
სოციალური ფენები				
ჯარი/არმია				
ენა/დამწერლობა				
რელიგია და კულტურა				

სა /ცნება	მე მგონია...	ტექსტი ამბობს	ილუსტრაცია	გამომაქვს დასკვნა
სახელმწიფო				
უმაღლესი მმართველი				
სოციალური ფენები				
ჯარი/არმია				
ენა/დამწერლობა				
რელიგია და კულტურა				

სურ. 1 – კოგნიტური სქემის ნიმუში ძველ ეგვიპტეზე

მოცემული აქტივობა – **კოგნიტური სქემის აღწერა** – შინაარსობრივად კომპლექსური ხასიათისაა. ის დიაგნოსტირების საშუალებას აძლევს მასწავლებელს და ეხმარება მოსწავლეს საკუთარი შედეგი დაინახოს „გარედან“, ამდიდრებს მოსწავლის ლექსიკურ მარაგს, ააქტიურებს აზროვნებას, გაგება-გააზრების-აღქმის უნარებს. შესაძლებლობას აძლევს მას, ამოიცნოს ძირითადი ინფორმაცია და მოახდინოს ცოდნის ტრანსფერი – ნასწავლი მასალა დააკავშიროს ყოფით ცხოვრებასთან. ამავე დროს დავალება აქტიური ინტერაქციით მიმდინარეობს, რადგან მისი შესრულების პროცესში მოსწავლეები აქტიურად იყენებენ როგორც ვერბალური, ისე არავერბალური აზროვნების უნარებს, ანუ მუშაობენ შემოქმედებითად.

II – კრეატიული დავალებები

ასეთივე განსაკუთრებულ შემოქმედებითობას მოითხოვს კრეატიული დავალებების შესრულება. ამ დროს სასურველია, მასწავლებელმა წინასწარ გააცნოს მოსწავლეებს დავალებების შესრულების სპეციფიკა და მოუყვანოს ნიმუშები. მაგალითად, კრეატიული დავალების კლასიკურ მაგალითად ითვლება შემდეგი პირობა: „1874 წელს პარიზში სამხატვრო გამოფენაზე წარადგინეს კლოდ მონეს ნახატი – „შთაბეჭდილება. ამომავალი მზე“. კრიტიკოსმა ლერუამ უარყოფითად შეაფასა ნახატი და თავის სტატიაში დამცინავად, „იმპერსიონისტებად“ (ფრანგულად impression – „შთაბეჭდილება“) მოიხსენია გამოფენის ყველა მონაწილე. ნახევარი საუკუნის შემდეგ მხატვრები ცდილობდნენ, მიეღოთ მსგავსი შეფასება არამარტო კრიტიკოსებისაგან, არამედ მხატვრობის მოყვარულთა მხრიდანაც.

დავალება: ა) თქვენი აზრით, თავის მხრივ, რა გააკეთეს იმპრესიონისტებმა კრიტიკოსების საპასუხოდ? **ბ)** რით გააკრიტიკებდნენ იმპრესიონისტები კრიტიკოსებს?

კრეატიულობაზე, აღქმაზე ორიენტირებული შემოქმედებითი დავალება საშუალებას აძლევს მოსწავლეს, გაიაზროს საკუთარი მიზანი, დაინახოს საკუთარი ზრდა და სწავლის შედეგი, შეაფასოს თანაკლასელების საგანმანათლებლო პროდუქტი.

მას შემდეგ, რაც მოსწავლე დაინახავს, როგორია მიდგომა კრეატიული დავალების შესრულების მიმართ, შესაძლებელია კონკრეტული დავალებების მიცემაც.

მაგალითი საბაზო საფეხურის ისტორიის სწავლების კურსიდან
კლასი – VII, თემა: ანტიკური და გვიანანტიკური ხანა (ისტ.საბ.1,2,4, 6, 8)

მას შემდეგ, რაც დაამუშავებენ თემას და გაივლიან საკითხს – რატომ მიმდინარეობდა დიდი ომიანობა ეგრისში“, მასწავლებელი მიმართავს კლასს – „დიდი ომიანობის“ დროს გუბაზ მეფის მკვლელობამ კოლხებს შორის დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. აიეტსაც და ფარტაძესაც თავ-თავიანთი მხარდამჭერი ჰყავდათ. ზოგი აიეტს უჭერდა მხარს და ზოგიც – ფარტაძეს. თქვენმა თანაკლასელმაც მოამზადა აიეტისა და ფარტაძის სიტყვების ანალიზი, რომელშიც გამოსჭვივის მისი შეხედულება მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით.

დავალება:

ა) ეთანხმებით თუ არა თქვენი თანაკლასელის ამგვარ შეფასებას?

ბ) როგორ გრძნობებსა და ასოციაციებს იწვევს აიეტისა და ფარტაძის სიტყვები თითოეულ თქვენგანში?

გ) როგორ ფიქრობთ, რამდენად ასახავს ასეთი მიდგომა საქმის რეალურ ვითარებას?

გაკვეთილის უმნიშვნელოვანესი ეტაპია შეფასება. როგორ შევაფასოთ კრეატიული და კოგნიტური ხასიათის დავალებები? რადგან მოცემული ტიპის დავალებები შემოქმედებითი ხასიათისაა, ამიტომ პირველ რიგში შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები.

1) **კომპლექსური ხასიათის დავალების დამუშავების ეტაპების სამახსოვრო (რამდენადაც კოგნიტური დავალებები ზოგადად კომპლექსური ხასიათისაა):**

შეკითხვები რეფლექსიისთვის	პასუხი
დაგეგმილი აქტივობები შეესაბამება სამიზნე ცნებებს, მკვიდრ წარმოდგენებს, საკვანძო შეკითხვებსა და შერჩეულ საკითხს?	დიახ/არა
დაგეგმილი აქტივობები ხელს უწყობს კომპლექსური დავალების შესრულებისთვის საჭირო ცოდნის აგებასა და განმტკიცებას?	დიახ/არა
დაგეგმილი აქტივობები ორიენტირებულია ცნებების ფორმირებასა და განზოგადებათა ჩამოყალიბებაზე?	დიახ/არა
საკლასო შეფასების (განმავითარებელი ან/და განმსაზღვრელი) სტრატეგიები და საშუალებები შესაფერისია?	დიახ/არა
დაგეგმილი აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სწავლების დიფერენცირებას ან/და რემედიაციულ სწავლებას?	დიახ/არა
გენდერული ბალანსი დაცულია?	დიახ/არა
ინკლუზიური განათლების პრინციპები დაცულია?	დიახ/არა

ან – 2) ჩვენ თვითონ **შევაქმნევინოთ მოსწავლეებს თავიანთი შემოქმედებითობის შესაფასებელი მარტივი რუბრიკა,** სადაც ხაზგასმული იქნება მათი სიმწყობრის, მოქნილობის, შეფასების, რისკის გაწევის, გამოწვევების მოძებნის, და შემუშავების უნარები.

მოსწავლის შემოქმედებითობის შესაფასებელი მარტივი რუბრიკის ნიმუში:

	4	3	2	1
სიმწყობრე	მე ბევრ იდეაზე ვფიქრობ.	მე რამდენიმე იდეაზე ვფიქრობ.	სხვისი დახმარებით მე შემიძლია ვიფიქრო იდეებზე.	მე მიჭირს იდეებზე ფიქრი.
მოქნილობა	მე ვამჩნევ, რა არის გამაოგნებელი, უჩვეულო და საინტერესო საყოფაცხოვრებო ნივთებსა და სიტუაციებში.	მე ჩემ გარშემო უჩვეულო მოვლენებს და ნივთებს ვამჩნევ.	როდესაც ვინმე მიმანიშნებს, მე ვამჩნევ უჩვეულო მოვლენებსა და ნივთებს ჩემ გარშემო.	მე ძალიან იშვიათად ვამჩნევ უჩვეულო მოვლენებს ან ნივთებს ჩემ გარშემო.
შეფასება	მე ვიცი რამდენიმე სტრატეგია, რომ გადავწყვიტო, რომელი იდეა ღირს დასამუშავებლად.	მე შემიძლია ვთქვა, რომელი ჩემი იდეა ღირს დასამუშავებლად.	სხვისი დახმარებით მე შემიძლია ვთქვა, თუ რომელი ჩემი იდეა ღირს დასამუშავებლად.	მე არ ვიცი, რომელი ჩემი იდეა ღირს დასამუშავებლად.
რისკის გაწევა	მე მიყვარს ახალი პროექტებისა და იდეების ცდა. მე არ ვღელავ შეცდომების დაშვების გამო სწავლის დროს.	მე ვცდი ახალ პროექტებსა და იდეებს. მე არ ვღელავ შეცდომების დაშვების გამო სწავლის დროს.	ხანდახან მე არ ვახორციელებ ახალ პროექტებსა და იდეებს, რადგან მეშინია შეცდომების დაშვების.	მე არასოდეს ვახორციელებ ახალ პროექტებსა და იდეებს.
გამოწვევების ძიება	მე თავს ვუსახავ ისეთ	ჩემს თავს ვუსახავ ისეთ მიზანს,	მე მხოლოდ ისეთ მიზნებს ვისახავ, რომელიც იოლად მიღწევადია.	მე ჩემს თავს მიზნებს არ ვუსახავ.

	4	3	2	1
	მიზანს, რომელიც სხვების აზრით რთულია.	რომელიც რთული, მაგრამ ჩემთვის მიღწევადია.		
შემუშავება	როდესაც ვიცი, რომ კარგი იდეა მაქვს, ვამატებ დეტალებს, რომ გავაუმჯობესო.	ჩვეულებრივ შემიძლია იდეას დავამატო დეტალები და გავაუმჯობესო.	ხანდახან ვერ ვხვდები, როგორ გავაუმჯობესო იდეა.	მე არ ვიცი, როგორ გავაუმჯობესო იდეები.

კოგნიტური და კრეატიული დავალებების შემდეგ შესაძლებელია, მოსწავლეებს შევთავაზოთ კომპლექსური შემაჯამებელი დავალებაც, სადაც მაქსიმალურად გამოვლინდება გაწეული მუშაობით მიღწეული შედეგი.

კომპლექსური შემაჯამებელი დავალების მაგალითი – „სასკოლო გამოფენის დაგეგმვა“

დავალების პირობა: „წარმოიდგინე, რომ მუზეუმის თანამშრომელი ხარ და უნდა მოამზადო ექსპოზიცია ძველ აღმოსავლეთზე. გამოფენამ სრული შთაბეჭდილება უნდა შეუქმნას დამთვალიერებლებს ძველი აღმოსავლეთის შესახებ: როგორ ბუნებრივ პირობებში ცხოვრობდნენ ადამიანები, რას საქმიანობდნენ, როგორ აღიქვამდნენ სამყაროს, როგორი საბრძოლო თუ სამუშაო იარაღებით სარგებლობდნენ, როგორ ვითარდებოდა და იცვლებოდა მათი საქმიანობა, როგორი საცხოვრებელი და სატაძრო ნაგებობები ჰქონდათ. ამისთვის უნდა ჩამოწერო იმ ნივთების სია, რომლებიც გამოფენის მოსაწყობად გჭირდება (ნივთებში იგულისხმება როგორც არტეფაქტები, ისე რუკები, პოსტერები, მაკეტები, შეგიძლია გამოიყენო ისტორიის გაკვეთილებზე შექმნილი და გამოყენებული კოგნიტური სქემები, ცხრილები, ნახატები და საინფორმაციო ხასიათის ტექსტებიც).

სიის შედგენის შემდეგ შენი საგამოფენო ექსპონატები უნდა აღწერო და დაასაბუთო, რატომ არის საჭირო და მნიშვნელოვანი მათი წარმოდგენა.

შეგიძლია, დავალება წერილობით შეასრულო და თან ნახატებიც დაურთო, ან მოამზადო პრეზენტაცია PPT-ფორმით. **ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:**

- რაში დაგეხმარა დაგეგმვა;
- როგორ, რა პრინციპით გაანაწილედაგეგმვისთვისსაჭიროაქტივობები;
- რამოხდებოდარომელიმე აქტივობის გამოტოვებისშემთხვევაში.

რჩევები:

რადგან შენს ნამუშევარში უნდა ჩანდეს ცოდნა, რომელიც ამ თემის განხილვისას შეიძინე, ამიტომ მუშაობის დაწყებისას დაფიქრდით და უპასუხეთ კითხვებს:

- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება (მაგალითად, ხომ არ არის საჭირო დავალების შესრულებამდე მუზეუმს ესტუმრო, ან ინტერნეტით მოიძიო და დაათვალიერო ძველი აღმოსავლეთის ამსახველი საგამოფენო სივრცეები)?

კოგნიტური და კრეატიული ხასიათის დავალებები ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას, მოსწავლის წინსვლას, მისი შემოქმედებითი პოტენციალის გაზრდას და წარმატებით გამოიყენება სწავლებაში.